კრაკოვის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში ვიზიტის ანგარიში

ლევან ბოგვერაძე

2022 7 მაისიდან 14 მაისის ჩათვლით ვიმყოფებოდი კრაკოვის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში (პოლონეთი) ERASMUS+ აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამით. ამ პერიოდის განმავლობაში მქონდა შეხვედრები კრაკოვის უნივერსიტეტის პროფესორებთან. გარდა ამისა, მქონდა შესაძლებლობა წამეკითხა ლექციები მშენებლობის ტენდერების ტიპების და ტენდერების პროცესების შესახებ.

კრაკოვის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტში ჩემი ვიზიტის დროს, მივიღე მონაწილეობა ერასმუსის მე-2-ე საერთაშორისო (International staff week) ვორქშოფში. ასევე საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ პროფესორებთან ვისაუბრე სხვადასხვა საკითხებზე და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე შევთანხმდით.

2022 წლის 22 მაისს მივიღე კონკრეტული შემოთავაზება კრაკოვის უნივერსიტეტის პროფესორისგან (ელენა ნეველოვა-ძიოპაკი) რომ ვყოფილიყავი მისი ნაშრომის რეცენზენტი: „მეტალურგიული ქარხნის ზემოქმედების შეფასება აზოვის ზღვაზე“, რომელიც წარმატებით დავასრულე 2022 წლის 21 ივნისს.